პერსონალური მონაცემებისა და კონფიდენციალურობის დაცვის სტანდარტები დისტანციური მედიაციის დროს

ქეთევანი კუსრაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თათა ერქვანია, (თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი (Master of Laws, LL.M))

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ქეთევანი კუსრაშვილი

16.06.2023

აბსტრაქტი

დისტანციური მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, მხარეებზე ორიენტირებული პროცესია, რომლის დროსაც დავა ნაკლები დანახარჯებით და სწრაფად გვარდება. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ინსტიტუტი დამოკიდებულია ტექნოლოგიებზე, დისტანციურ მედიაციაში ჩართული მხარეების პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე სათანადო დამცავი მექანიზმების განსაზღვრას.

შესაბამისად, წარმოდგენილ ნაშრომში განვითარებული მსჯელობა ეფუძნება დისტანციური მედიაციის დროს წარმოშობილ ყველაზე აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს, კერძოდ პერსონალურ მონაცემებსა და კონფიდენციალურობას. სწორედ ამ მიზნისთვის განხილულია მათი სამართლებრივი რეგულირება და გამოყენებულია შედარებით - სამართლებრივი ანალიზი, რომელთა საფუძველზეც, შემოთავაზებული რეკომენდაციების გათვალისწინება დადებითად აისახება დისტანციური მედიაციის დროს კონფიდენციალურობის დაცვის ხარისხსა და აღნიშნული საკითხის რეგულირების გაუმჯობესებაზე საქართველოში.

შედეგის თვალსაზრისით, დასკვნაში წარმოდგენილია, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს საქართველოს კანონმდებლობა, რომ აღმოიფხვრას დღეს არსებული პრობლემები.

ნაშრომში განხილული საკითხი აქტუალური შეიძლება იყოს მედიაციით დაინტერესებული როგორც პრაქტიკოსი ან თეორეტიკოსი იურისტებისათვის, ასევე მედიაციით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის.

საძიებო/საკვანძო სიტყვები: მედიაცია, დისტანციური მედიაცია, პერსონალური მონაცემები, კონფიდენციალურობა.

Abstract

Remote mediation as the alternative way of dispute resolution, is a party - oriented process, in which the dispute is solved efficiently and quickly. Since the mentioned institute greatly relies on technologies, it is absolutely necessary to define appropriate security and safety mechanisms at legislative level in order to ensure the protection of the confidentiality of private data of the parties involved in remote mediation.

Correspondingly, the discussion represented in the present thesis is based on the most problematic and common issues arising during remote mediation, particularly personal data and confidentiality. Having this purpose in mind, the legal regulation has been discussed and a comparative legal analysis has been used, on the basis of which, taking into account the proposed recommendations will have a positive impact on the quality of privacy protection during remote mediation and on improving the regulation of the abovementioned issue in Georgia.

In view of the result, the conclusion presents how the legislation of Georgia can be changed to eliminate the problems that exist today.

The issue discussed in the thesis may be relevant to practitioner or theoretician lawyers interested in mediation, as well as anyone interested in mediation.

Key words: Mediation, Remote mediation, Personal data, Confidentiality.